ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №909749

ნომერი: AR1160925

თარიღი : 11.09.2013

გაცემის თარიღი : 20.09.2013

გაცნობის თარიღი : 20.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , VII და VIII მ/რ-ს შორის (ნაკვეთი 06/015);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ქვრივიშვილი პ/ნ 01001051653
- ქ.თბილი,გლდანის მე-7 მ/რ,კ4,ბ175

ორგანიზაცია:

- შპს ,,კანდიდი" საშუალო სკოლა კოდი: 209476173

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობა (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის გარეშე)

ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, დასახლება გლდანი, VII და VIII მ/რ-ს შორის (ნაკვეთი 06/015), შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.11.10.006.015, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882013385243 15/08/2013წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, დასახლება გლდანი, VII და VIII მ/რ-ს შორის (ნაკვეთი 06/015), შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge